პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 59 (18601) შაბათი, 12 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

თბილისი. ტორმეტი დიდტვირთიანი შემადგენლობის გადაყვანა გადაწყვეტეს შაბათობის დღეს თბილისის სახარისხებელი სალოკომოტივო დეპოს მშრომელებმა. ამ დღეს ისინი გადაიტანენ 30 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, გაარემონტებენ ორ ელმავალს, ერთ სატვირთო ამწეს და სხვა ტექნიკას.

ჟუთაისი. შაბათობის დღეს თავიანთ სამუშაო ადგილზე მოვა ათასობით ავტომობილმშენებელი. ავტოქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 16 აპრილს აწარმოოს 230 ათასი მანეთის პროდუქცია.

რუსთავი. კომუნისტური შაბათობის დღეს დაზოგილი მასალებითა და ენერგორესურსებით იმუშაონ — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც მ. რატიანი, ი. ვაკულინი, გ. ტრიბუნსკი ხელმძღვანელობენ. მათ ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საწარმოს მშრომელებმა. ქარხნის ბევრი საამქრო 16 აპრილს დაზოგილი ელექტროენერგიით იმუშავებს. დაზოგილი ლითონით დაამონტაჟებენ კოშტარა ამწის კაბინას.

16 აპრილს კომუნისტური შაგათოგბაა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ აგრესიმრეწველო კომპლექსის მართვის სისტემაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი.

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 11 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ბ. ბ. გადელიას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გივი ბაგრატის ძე გადელია საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 11 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. დ. ე. სარიშვილის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. დავით ეფრემის ძე **სარიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 11 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. რ. დ. ფანცხავას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. რამაზ დავითის ძე **ფანცხავა** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 11 მარტი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **დანიშნა:**

ამხ. გ. ბ. **გადელია** — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილედ.

ამხ. **დ. ე. სარიშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილედ.

ამხ. **რ. დ. ფანცხავა** — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილედ. (საქინფორმი).

ჩვენს ქვეყანაში

გვაცნობინებენ საკავშირო კორესპონდენტები

აქ მხედველობას უბრუნებენ

თვალის დაავადებათა მკურნალობის ყველაზე ეფექტიან ხერხებს ამუშავებს ოდესის აკადემიკოს ფილატოვის სახელობის თვალის დაავადებათა და ქსოვილების თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი.

ინსტიტუტის ათ კლინიკურ განყოფილებაში ყოველწლიურად 10 ათასამდე ავადმყოფი მკურნალობს სტაციონარულად. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკებიდან ჩადიან.

ამ ბოლო წლების მანძილზე ინსტიტუტში შეიმუშავეს და დანერგეს დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები, გააუმჯობესეს ხელოვნური რქოვანას გადანერგვის ხერხი, შემუშავებულია ლაზერით თვალის მკურნალობა.

სურათზე: ქსოვილის პრეპარატების ფარმაკოლოგიის ლაბორატორია. მარცხნიდან — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ვალერი ივანოვი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი ვერა სოლოვიოვა და გვინეელი ასპირანტი მამადუ სანგარე.

ი. პავლენკოს და **ვ. რეპიკის** ფოტო (საკადრისის ფოტოქრონიკა).

76 საათი—მიწის ქვეშ

სომხეთის სსრ. ეხეგნაძორის რაიონი. სპელეოლოგ სპორტსმენთა ჯგუფმა გამოცდილი სპეციალისტის — სამველ ბაჩატრიანის ხელმძღვანელობით მაღალი მთის პლატოს (ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრი) წიაღში „არჩერის“ გამოქვაბულში 76 საათი გაატარა. ამ ჯგუფმა, რომელიც სომხეთის გეოგრაფთა საზოგადოებამ შექმნა და აღჭურვა, დაწვრილებით გამოიკვლია რესპუბლიკის სამი უდიდესი კარსტული მღვიმე: „არჩერი“, „მოზროვა“ და „მაგილა“, გაზომა ისინი, აღრიცხა და გადაიღო არქეოლოგიური და ბიოლოგიური ნაპოვნები.

კარსტული მღვიმეები ძალზე საინტერესოა მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით. სტალაქტიტების სიმდიდრით, მარჯნისებრი წანაზარდებით და სხვა უცნაური ფორმებით განსაკუთრებით გამოირჩევა ეხეგნაძორის რაიონის გამოქვაბულები.

სურათზე: თავისებური გაქვავებული ჩანჩქერი, რომელიც კარსტული ჩამონადენებისაგან წარმოიშვა.

ბ. ბალდასარიანის ფოტო (საკადრისის ფოტოქრონიკა).

გაცოცხლებული ფედევრები

მოსკოვი. სრულიად რუსეთის აკადემიკოს ი. ე. გრაბარის სახელობის სამხატვრო სამეცნიერო-სარესტავრაციო ცენტრში შუუზუმებისათვის აღადგენენ ხელოვნების ნაწარმოებებს.

ამ ცენტრის მხატვრებმა აღადგინეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ა. ა. პლასტოვის სურათების ნაწილი, დრეზდენის სურათების გალერეის, პოლონეთისა და უნგრეთის მუზეუმების ნაწარმოებები. მოსკოველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ წყალდიდობის დროს დაზიანებული ფლორენციის სამყაროდ ცნობილი ხელოვნების ძეგლების რესტავრაციაში.

ამ დაწესებულებაში უმაღლესი კვალიფიკაციის რესტავრატორი ოსტატები, რუსული და ევროპული ხელოვნების ცნობილი სპეციალისტები მუშაობენ. ცენტრს აქვს ზეთისა და ტემპერას ფერწერული ნაწარმოებების, გრაფიკის, ქანდაკების, ავეჯისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების განყოფილებანი.

სურათზე: ასე შეჰყავთ წებო ხალებავიანი ფენის გრუნტის გასამაგრებლად.

ვ. კოშევოის ფოტო (საკადრისის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება: პირველადის ძალა და ავტორიტეტი

მოსაზრებანი, წინადადებები

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ

დღეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოლოდინით ცხოვრობს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ კონფერენციის თემაა „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის გაძლიერება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის ხრულყოფაში“.

განსაკუთრებულია, დიდია ამ კონფერენციის მნიშვნელობა როგორც საქართველოს, ასევე მთელი ჩვენი ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში. მისი მიზანი ხომ ის არის, რომ ღრმად, საფუძვლიანად გააანალიზოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიის ძირეულ რგოლებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემები, განაზოგადოს დადებითი გამოცდილება, შეიმუშაოს პრაქტიკული წინადადებები და რეკომენდაციები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინწინ, 10 მარტს, პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი, რომ საკავშირო კონფერენციისათვის მზადების დღეებში გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი პარტიის ძირეული რგოლების ბრძოლისუნარიანობის, როლისა და ავტორიტეტის შემდგომი გაზრდის საკითხებზე. „კომუნისტის“ ფოსტაში უკვე გაჩნდა პირველი გამოხმაურებანი. დღეს ვაქვეყნებთ რამდენიმე მათგანს.

მთავარს ნუ დავივიწყებთ

ბოდიო, პირდაპირ ვთქვათ: რამდენი ფაქტი ვიცით, რომ ჩვენი პარტიის რიგებში შემოწოწულა არა საერთო საქმისათვის გულანთებული მებრძოლი, არამედ კარიერისტიც, რომელსაც კომუნისტის მანდატი იმისათვის სჭირდება, თანამდებობაზე გაიზრეს, ხელმძღვანელი მუშაკის სავარძელი იშოვოს. სამწუხაროდ, ამ საწადელს ზოგჯერ აღწევენ კიდეც. როგორ, რა გზით შეიტყოთ ასეთი თვისებები ადამიანს? უნდა გამოვცადოთ საქმეში, საზოგადოებრივი საქმეების შესრულებისადმი დამოკიდებულებაში. მეტყვით, ახალს, ახა, რას ამბობ, ეს ხომ ასეც უნდა ხდებოდეს. დიახ, ეს თავიდანვე ლენინური პარტიის უპირველესი მოთხოვნა იყო და არის, მაგრამ ლაპარაკია მეტ სიფხიზლეზე, ისეთ „გამაშუქებელზე“, რომელიც კაცის ხასიათს გვაჩვენებს.

მე, როგორც პარტიის ვეტერანს, წლების მანძილზე პარტორგანიზაციაში მუშაობით მახსოვს ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიაში შემსვლელებთან გასაუბრებისას კმაყოფილებიან მხოლოდ იმით, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი დავალება მიუციათ. ახა, გულწრფელად ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ სულ აღარ დავინტერესებულვართ, თუ რა გულით ეკიდება კაცი ამ დავალებებს. განსაკუთრებით გასარკვევია პარტიაში შემსვლელის იდეური ბაგაჟი, მისი ნამდვილი მრწამსი.

საჭიროდ მიმაჩნია, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულმა სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარი განხილვის პარტიულმა კომისიებმა საფუძვლიანად შეისწავლონ მათი იდეური სიმწიფე და წინასწარ შემუშავებული ნორმების მიხედვით, რომლებიც რეკომენდირებული იქნება პარტიის ზემდგომი ორგანოების მიერ, მოაწყონ ოფიციალური შემოწმება-გამოცდა პოლიტიკური დავალების პრაქტიკულად შესრულებაში. ლიბერალური, ზოგჯერ მამაშვილური გასაუბრება პარტიაში მიღების დიდმნიშვნელოვან საქმეში მხოლოდ შეცდომებს გაგვიმრავლებს.

ცოტა მეტი სიმკაცრეც საქმეს არ წაადგება. სერიოზული გადაცდომებისათვის კომუნისტი მუდამ მკაცრად უნდა დაისაჯოს. აქ არ უნდა იყოს რაიმე შეღავათები. კაცი, რომელიც პარტიის წევრი გახდა, მომზადებული უნდა იყოს კიდეც იმისათვის, რომ დიდი შეცდომა არ ჩაიდინოს, ცუდ საქმეში ვერავინ აიყოლიოს.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით ერთი ასეთი მოსაზრებაც მინდა გამოვთქვა: პარტორგანიზაციათა მდივნების საბჭოებმა, რომლებიც შეიქმნა და იქმნება მრეწველობაში ერთი გვერდითიანების, ხოლო სასოფლო რაიონებში აგროსამრეწველო კომბინატების ფარგლებში, გაამაორეს დანიშნულება. ურიგო არ იქნება, რომ ეს პრაქტიკა გავავრცელოთ ყველა დარგში, ვთქვათ, ტერიტორიული თვალსაზრისით, სკოლების, საავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პარტორგანიზაციათა მიზედვით. ეს კარგი იქნება. იმ მხრივ, რომ ერთი პროფესიის კომუნისტები უფრო კვალიფიციურად, უფრო მეტი ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით შეიმუშავებენ თავიანთი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. ამით პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტებიც რამდენადმე განიტვირთებიან.

ვ. ლომსაძე,
სკკპ წევრი 1927 წლიდან, ახალციხის ვეტერან კომუნისტთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

შევქმნათ ველესკოლა

პარტიული ორგანიზაციის მდივანი ცენტრალური ფიგურაა შრომითს კოლექტივში. იგი კარგად უნდა ფლობდეს ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდებს. ხოლო მომზადებულ, თავისი საქმის მცოდნე კომუნისტთა წინამძღოლზე რამდენად არის დამოკიდებული საქმის საბოლოო წარმატება, ეს ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება.

პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტები, უწინარესად მათი საორგანიზაციო განყოფილებები ბევრს მუშაობენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ცოდნის დონის ამაღლებისათვის, მათში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის; ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა სკოლები, სემინარები, თეორიული კონფერენციები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს საკმარისი არ გახლავთ.

უდიდესი პრაქტიკული ღირებულება ჰქონდა შარშან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველ რესპუბლიკურ კრებას, რომელმაც, უდავოდ, ბევრი რამ მისცა ამ სფეროს მოუაკებს. დიდად დაეხმარა მუშაობაში ჩვენს პარტორგანიზაციათა მდივნებს საქართველოს ტელევიზიის მიერ მოწყობილი გადაცემა პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტის შესახებ. ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იქნება თუ შეიქმნება პარტორგანიზაციების მდივნების ტელეტრიბუნა ან ტელესკოლა, რომელშიც მაღალ პროფესიულ დონეზე და თვალსაზრისოდ განხილება ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა საკითხი. ეს საშუალებას მისცემს იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც განკუთვნილი იქნება ამ სახის გადაცემები, დაეუფლონ პარტიული მუშაობის ხელოვნებას, სწორად გაიაზრონ ნაკლოვანებანი, ეზიარონ მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილებას, რა თქმა უნდა, იმ ფორმების აქტიურად გამოყენებასთან ერთად, რომლებიც საერთოდ გვაქვს პირველადი პარტორგანიზაციების აქტივის დასახმარებლად.

ბ. ცქიფურიშვილი,
საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

მეტად უნდა ვიფრთხილოთ

„პირველადი პარტორგანიზაციების როლის, გავლენის, მებრძოლურობის შემდგომი ზრდა ის მთავარი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის წინაშე მდგომი რთული და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას“. ძირეული რგოლების ბრძოლისუნარიანობა კი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო უკეთესია მისი ხარისხობრივი შემადგენლობა. ამიტომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა სკკპ წევრად ყოველი მისაღები კანდიდატურის ყოველმხრივ შესწავლას.

როგორ, რა ნიშნების მიხედვით უნდა შეავარჩიოთ ახალგაზრდა, რომ არჩევანში შეცდომისაგან დაზღვეული ვიყოთ? როგორ უნდა ვიმუშაოთ მათთან სკკპ წევრობის კანდიდატობის პერიოდში? აი საკითხები, რომლებზეც არაერთხელ გვისაუბრია ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში და მივსულვართ იმ დასკვნამდე, რომ ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია ისევ და ისევ რეკომენდატორს, პიროვნებას, რომელიც კარგად იცნობს მომავალ კომუნისტს და პასუხისმგებლობას კისრულობს რეკომენდაცია გაუწიოს ახალგაზრდას უფროსი თანამოაზრეების წინაშე.

კარგი იქნება, პარტიაში მისაღები პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება დიდ წილად მიენდოს რეკომენდატორს. არც ის იქნება ურიგო, რომ რეკომენდატორებმა პარტიის რაიკომის ბიუროზე გააკეთონ ხოლმე ინფორმაცია პარტიის წევრობის კანდიდატის საქმიანი თვისებების, პოლიტიკური სიმწიფის შესახებ, აგრეთვე ვრცლად და ფართოდ მოახსენონ ბიუროს იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ამ ერთი წლის მანძილზე განწია სკკპ წევრობის კანდიდატთან, ამასთან წარმოაჩინოს როგორც მისი დადებითი თვისებები, ისე ადამიანური სისუსტეები. ამასთან, ჩემი აზრით, მომავალი კომუნისტის მიერ შეგროვილ დოკუმენტებს წერილობით უნდა დაერთოს ზემოხსენებული ინფორმაციაც. არ შეიძლება ამ სახის ღონისძიებამ თავისი დადებითი შედეგი არ მოგვცეს და მნიშვნელოვნად არ დაგვიცვას პარტიის რიგებში უღირსი ელემენტების შეღწევისაგან.

ნ. კოზლოვსკი,
წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს პარტიული ბიუროს მდივანი.

კვლავ გიყვევით ტელეეკრანებთან

ხალხის ინიციატივის სათავეები

— ასე ჰქვია მეორე გადაცემას ციკლიდან „ყველება ადგილზე“,

რომელსაც 13 მარტს—კვირას ნახავთ საქკავშირო ტელევიზიის პირველი პროგრამით 18 საათზე

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ბევრი რამ კეთდება მასებთან კავშირის განსამტკიცებლად.

ეს მუშაობა აქტიურ გავლენას ახდენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტაზე, აძლიერებს მშრომელთა საზოგადოებრივ და საწარმოო აქტიურობას, აუმჯობესებს კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ამას წინათ საქართველოს მთებში — თუშეთში. ეს მთიანი მხარე აღორძინების გზას ადგას, შენდება გზები, მეცხოველეობის ფერმები, საზოგადოებრივი და კულტურის ცენტრები.

ამას წინათ სოფელ ომალოში კავშირგაბმულობის კვანძი ამუშავდა. ახლა ყოველ სახლში აქვთ ტელევიზორი და ტელეფონი. თუშებს მშენებლობის დამთავრება მიუღლიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კობახიძემ და საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ლ. ბატიაშვილმა, რომლებიც საგანგებოდ ჩავიდნენ თუშეთში. ისინი ესაუბრნენ ადგილობრივ მკვიდრთ, მოუსმინეს, რა სურდათ, რას თხოულობდნენ.

პარტია მოითხოვს, რომ ხალხის ინიციატივის არც ერთი სათავე არ აამღვრიოს გულგრილობის, ხაქმის გაგიჟურეთის, ბიუროკრატიზმის გამოვლინებამ, რომ ხელმძღვანელები ხიტყვით კი არა, ნამდვილად ეთათბირებოდნენ ხალხს, ეურს მიაპყრობენ მათ ნება-სურვილს.

ქართული ყამირი — უდაბნო სულ 70-80 კილომეტრზეა თბილისიდან. ახლა ყოფილ ხრიოკებზე ხეხილის ბაღები და ზვრები გადაგიმოსია, მეცხოველეობის ფერმების კორპუსები აღმართულა. ყამირის ერთ-ერთ სახეობათა მეურნეობაში მუშებისათვის ორსართულიანი კოტეჯები აიგო. მშენებლობა გრძელდება. სამწუხაროდ, თავის დროზე მშენებლებმა ყური არ ათხოვეს ყამირელთა აზრს, და აი შედეგიც: პირად კარ-მიდამოებს დამბმარე ნაგებობანი არა აქვთ. „აშკარა შეცდომა მოგვივიდა, — ამბობს გადაცემაში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი. — ახლა საქმე სწორდება“.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან, მისი წარმატებული გადაწყვეტისათვის მშრომელთა წინადადებებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. პლენუმზე ვრცელი ხიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

საკარმიდამო ნაკვეთებზე პირუტყვის გამოზრდისა და გასუქების თაობაზე მეკომფურთა და კოლმეურნეობათა შორის კოოპერაციის ორგანიზაციაზე, მის ეკონომიკურ ეფექტზე გესაუბრებათ საქართველოს კომპარტიის ახაშის რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. ღვინჭილია.

დიდ ინტერესს იწვევს სანავსადგურო ქალაქ ფოთში წამოწყებული ექსპერიმენტი. აქ შეიქმნა ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება, რომელიც მართვის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების რაციონალური შეხამების საშუალებას იძლევა. ამ ექსპერიმენტსაც თავისი ადგილი აქვს დათმობილი გადაცემაში.

დაუშრეტელია ხალხის ინიციატივის სათავეები. მის განვითარებას ახალი მძლავრი იმპულსი მოანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა.

კავკასიონის მთებზე

საქართველოს სამხედრო გზით



თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს სამხედრო გზით მიდიხარ, რაღაც განსაკუთრებულ გუნება-განწყობილებას გიქმნის. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ იგი მთებში გადის — მთის გზას რა ტალავს. და არც ის, რომ იგი აქა-იქ სახიფათოა — მანქანიდან ორიოდე ნაბიჯზე უძირო უფსკრულია და შენ არა მარტო ხედავ მის კიდეს, არამედ თითქოს მთელი ტანით გრძნობ მას. აქ მოგზაურობისას განსაკუთრებული გუნება-განწყობილება იმიტომ გექმნება, რომ ამ გზას ბევრი რამ შეუძლია გიამბოს.

მისი სიგრძე ზუსტად არის ცნობილი — 207 კილომეტრი. ცნობარებში აღნიშნულია ის წელიც, როდესაც აქ მუდმივი მიმოსვლა დაიწყო. — 1799, აი, იმის განსაზღვრა კი, თუ სად იწყება ეს გზა, ძნელია. ქალაქ ორჯონიკიძეში უთუოდ მიგითითებენ იმ ადგილს, საიდანაც ეს გზა იწყება. თბილისშიც სიამაყით გიჩვენებენ ამ ადგილს. ერთ-ერთმა ჩვენგანმა მაინც სცადა დაეზუსტებინა, ვინ იყო მართალი, და პასუხად მიიღო: „მისმინე, ჩემო კარგო მეგობარო, განა ამას ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს? თუ გზას დასაწყისის ზუსტი ადგილი არა აქვს, ეს ადგილი კი აუცილებლად არსებობს, შაშასადამე, მისი სათავე ადამიანის გულში უნდა ეძიო“.

ეს სიტყვები ხშირად გვაგონდებოდა, როცა ვუსმენდით იმათ, ვინც გზას ამზადებს ოქტომბრის ღირსშესანიშნავი თარიღისათვის— გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავისათვის, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი შინაფესტი გახდა. გზა ამ მეგობრობის ძეგლია. მას დღემდე შემოუნახავს ბევრი აქ მომხდარი მოვლენის კვალი, ახსოვს მრავალი ადამიანი, რომელთა ს[illegible]ლები უღრმეს პატივისცემას იწვევს.

— ჩვენ გვინდა, რომ ამ ხსოვნამ ხორცი შეისხას, — გვითხრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. — გზის კეთილმოწყობა სახალხო მშენებლობად გამოცხადდა, ამ მუშაობაში ჩვენი საუკეთესო შემოქმედებითი ძალები მონაწილეობენ. გზის გასწვრივ მალე გაჩნდება მემორიალური წყაროები, მხატვრულად გაფორმებული პავილიონები, გადასახედი მოედნები და კომპოზიციები. მიმდინარეობს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების აღდგენა.

უჩვეულოა ამ გზის ბედი.

კავკასიონის ცად აწვდილი მთებიც, რომლებმაც თავის მიუვალ კლდეებში გაატარეს იგი, ამ მთებიდან მოჩხრიალე მდინარეებიც, ამ თვალწარმტაცი ადგილების მომზიბლაობაც პოეტური სტრიქონებით და მშვენიერი პროზით აღიბეჭდა ნაწარმოებებში, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის სიამაყეს შეადგენენ. ამიტომ სრულიადაც არ გაგვკვირვებია, როცა ერთ სტუმართმოყვარე ქართულ ოჯახში საზეიმოდ გაისმა სადღეგრძელო: „გაუმარჯოს ჩვენს ლიტერატურულ გზას!“.

და ყოველ ჩვენგანს ამ წუთში, რა თქმა უნდა, პუშკინი გაახსენდა. გადაშლეთ მისი „მოგზაურობა არზრუმში“, და თქვენ პოეტის თვალით დაინახავთ საქართველოს სამხედრო გზას. კავკასიონმა თავის უწმინდეს ადგილებში მიგვიღო, წერს იგი, ჩვენ ყრუ გუგუნი მოგვესმა და ვიხილეთ თერგი... მე ქვეითად მივდიოდი და წამდაუწუმს ვჩერდებოდი ბუნების ამ მკაცრი მომხიბლაობით გაოგნებული.

შახსოვს, დარიალის ხეობაში ჩვენც შევჩერდით. მრისხანედ ბობოქრობდა, მკერდით ეხეთქებოდა გადაგლესილ ლოდებს დაუოკებელი თერგი. ფრიალო კლდეები, რომელთა გვერდით მანქანები სათამაშოებად მოსჩანს, ცად აღმართულაყვნენ. მაგრამ მათმა უდრეკმა ძალამ კი არ გაგვაოცა, არამედ ხის გამძლეობამ, რომელიც, ეტყობა, ნაპრალში ქარით მოტანილი თესლისგან უნდა აღმოცენებულიყო. და ყოველგვარი ქარიშხლების ჯიბარზე ეს ხე მაგრად ჩასჯიდებოდა კლდეს თავბრუდამხვევ სიმაღლეზე. გაღმა თამარის ციხე ილანდებოდა. დარიალის ხეობით იწყება საქართველო.

შემდეგ შევჩერდით სოფელ ყაზბეგში, რომელსაც სასწაულთან წაუგლეჯია ადგილი მის გარშემო ცად აწვდილი მთებისათვის. ხეობის შემდეგ, უფსკრულის პირას მოგზაურობის შემდეგ აქ უკვე მშვიდად გრძნობ თავს. აქაური ადგილების მთავარი ღირსშესანიშნაობაა მყინვარწვერი. ეს 5.047 მეტრის სიმაღლის ჩამქრალი ვულკანია. მარადიული თოვლით თეთრად მოელვარე მყინვარწვერი კარგად მოჩანს მოწმენდილ ამინდში. ზუსტად სამოცი წლის წინათ მთაზე ამ მწვერვალზე პირველი მასობრივი ასვლა.

პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა გერონტი შიბაშვილმა, რომელიც სტუმართმოყვარულად დაგვხვედა, გვიამბო, რომ ამ რაიონში ექვსი ათასი მცხოვრებია, ძირითადად მეცხვარეობას მისდევენ. თურმე, ეს მთები შორიდან მოჩანან მიუდგომლად, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდები, გაოცებული აღმოაჩენ: მთებში თავისი რიგი მიდის ცხოვრება — კიაფობს ტელევიზორის ეკრანები, ბავშვები სკოლებში დადიან. ჩვენ ამ გოლიათებს ლამაზს ვუწოდებთ, მაგრამ თავისთავად რიდი არიან ლამაზნი. მათ მაინც ადამიანები ალამაზებენ. უადამიანოდ მთები უფრო მალე ბერდებიან. ყაზბეგში ერთი პატარა მუზეუმია, მისი ექსპოზიციები ადგილობრივ მცხოვრებლებზე მოგვითხრობენ. სათუთად ინახავენ აქ ძვირფას რელიკვიებს, მათ შორის — პუშკინისეულს.

შემდეგ ჩვენი გზა ჯვრის უღელტეხილზე გადიოდა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, უღელტეხილი და ხეობა მისადგომები „ჩაკეტილია“. — თოვლი მოვიდა. მაშინ კი გზა ცივაბოზე მიიკლაკნებოდა ზემოთ, ხან კლდის ქვეშ იკარგებოდა, თითქოს გვირაბიაო. განსხვავება სულ ის იყო, რომ მარჯვენა მხრიდან კედელი არ ჰქონდა. მის ნაცვლად მკვიდრი საყრდენები იდგა. ისინი გარბოდნენ ჩვენს თვალწინ, როცა მანქანა სიჩქარეს მოუმატებდა. ზოგან კლდის შვერილზე წყალი მოჩხრიალებდა.

და აი უღელტეხილიც. ნახევარმეტრიან რუს გზის მაჩვენებელზე წარწერა აღნიშნავდა: ჩვენ 2.388 მეტრის სიმაღლეზე ვართ. „პუშკინს არ გაუვლია აქ, სადაც ჩვენ ვდგავართ, მან მარცხნიდან აუარა ამ ადგილს, — ამბობს ჩვენი თანამგზავრი, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე გ. ჩახავა. — იქ პუშკინის ბილიკია“.

ორგვლივ მდუმარებას დაუსადგურებია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს სხვა სამყაროში მოხვედრილიყავი. ორგვლივ მხოლოდ მთებია და ზეცა. და ამ წუთებში რაღაც განსაკუთრებით ძღერს პუშკინის „კავკასიონის“ სტრიქონები.

განა თქმა უნდა, გზა სამუდამოდ შეინახავს დიდი რუსი პოეტის, — კავკასიის მეზოტბის ხსოვნას. სადღესასწაულოდ აქ პუშკინის წყარო აიგება. პოეტის გორელიეფს მოქანდაკე ვ. ონიანი, ამ მთების შვილი აკეთებს.

ოდნავ გავცდით ჯვრის უღელტეხილს, როცა გ. ჩახავამ მძღოლს სთხოვა მანქანა გაეჩერებინა. ამ ადგილს საგულისხმო თარიღისათვის გადასახედი მოედანი მოეწყობა. შორს ხეობაში ძლივს მოჩანდა ვერცხლისფრად დაკლაკნილი არაგვი.

— აქ რუსი და ქართველი ხალხების ძმური მეგობრობისადმი მიძღვნილი დიორამა დაიდგმება. მისი ავტორია მხატვარი ზ. კაპანაძე. დიორამა კავკასიის დამცველთა საგმირო საქმეებს გაგვაცნობს.

ახლა გზა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთას დაუყვა. გაფართოვდა კიდეც. მარჯვნივ და მარცხნივ გამოჩნდა მოედნები, რომელთაგან ერთ-ერთზე ახალი ნაგებობანი დავინახეთ. სწორედ აქ შევხვდით პარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანს ჰ. კერესელიძეს. გზა ერთად განვაგრძეთ. იგი გვიამბობდა თავის მუშაობაზე, რაიონის მშრომელთა ცხოვრებაზე, სოფელ ერინგალის ბედზე.

ერინგალმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადგილი გამოიცვალა. ხალხმა მიატოვა ერინგალად წოდებული ძველი ბუდე და ახალ ადგილას დასახლდა, თუმცა სახელი ძველი შეინარჩუნა. ძველი ერინგალის ადგილას კი ტალღებს აალიკლავებს ერინგალის ზღვა — აქ მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავი.

— ეს წყალი დიდ სარგებლობას მოგვიტანს, — გვეუბნება ჰ. კერესელიძე. — ორგვლივ მდებარე მიწებს მორწყავს. გარდა ამისა, „ზღვის“ ნაპირი მშვენიერი დასასვენებელი ადგილი გახდება. შეექმნება ტურისტებისათვის კემპინგები. ჩვენ გვიყვარს სტუმრები. ჩვენებური დუშური ხინკალი, — იღიმება იგი, — ყოველთვის დაუმშვენებს მათ სუფრას.

მცხეთა — საქართველოს ძველი დედაქალაქი... მარცხნივ, მთის წვერზე გუშაგივით შემომდგარა ჯვარი — ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი. აი უკვე თუთმეტი საუკუნეა მისი სარკმელები ყურადღებით ადევნებენ თვალს დროის დაუოკებელ სრბოლას. მას ახსოვს, როგორ ჩამოიარა ამ გზაზე ლერმონტოვმა, მან შთაგონა პოეტს „მწირი“. აქ იქმნება ლერმონტოვის სახელობის მემორიალი. პოეტის ქანდაკებას ა. მუჟდლიშვილი ძერწავს.

ამ „ლიტერატურულ“ გზაზე ჩამოუვლიათ გრიბოედოვს, ლევ ტოლსტოის, ჩეხოვს, გორკის... ისინი მდიოდნენ იქით, სადაც, როგორც ბელინსკიმ თქვა, პოეტურ შთაგონებას ეწოფებოდნენ. და თითქოს მათ შესაგებელად, მცხეთის, ჯვრის უღელტეხილის, სოფელ ყაზბეგის გაელით რუსეთს მიემართებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართველი ხალხის სხვა სახელოვანი შვილები. მათ მაშინ, და დღესაც, „თერგდალეულებს“ უწოდებდნენ, რაკი თერგის გზით მდიოდნენ რუსეთში. პეტერბურგსა და მოსკოვში ეზიარნენ ისინი დიდ რუსულ კულტურას. აკაკი მაშინ წერდა, ირსებობს ახალგაზრდა რუსეთი, რომელთან ერთადაც ჩვენ გვინდა ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთ, რათა ხორცი შევასხათ არა მარტო ეროვნულ, არამედ ბევრ ზოგადსაკაცობრიო იდეალსაც, იმ იდეალებს, რომელსაც ძმობა, ერთობა და თანასწორობა ეწოდებაო.

თერგის ხიდთან ახლა პატარა არქიტექტურული კომპოზიცია იქმნება. მას სწორედ ასე ეწოდება — „თერგდალეულნი“. მისი ავტორები არიან არქიტექტორები გ. აბულაძე და დ. ახვლედიანი, მოქანდაკენი კ. ტაბატაძე და დ. თუშურაშვილი.

თბილისში რომ ჩამოვედით, მხატვრების სახელოსნოებს ვეწვიეთ, არქიტექტორებსა და რესტავრატორებს შევხვდით. ინტერესით ვეცნობოდით მეგობრობის ხელშეკრულების დადების 200 წლისთავისათვის გზის მომზადების ესკიზებსა და პროექტებს. ვნახეთ ლევ ტოლსტოის, გრიბოედოვისა და ჩაიკოვსკის ძეგლების ესკიზები.

... ყოველ გზას აქვს თავისი დანიშნულება, სოფლის ნამიან ბილიკსაც კი. და ყოველი მათგანი თავისებურად ძვირფასია ჩვენთვის. ასე რომ, უსაზღვროდ მარადიული იყო ის ბრძენი კაცი, რომელმაც კითხვაზე — სად იწყება გზა, გვიპასუხა: „ადამიანის გულში“.

ა. კარპიჩევი,
გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ სპეც. კორ.).
„პრავდა“. 1983 წ. 11. III.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

სამარადჟამოდ ერთად

„გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი ძმობის საყოველთაო სახალხო დღესასწაულია“, — ასეთი იყო სოხუმში გამართული თეორიული კონფერენციის თემა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, ლექტორები, პროპაგანდისტები.

მოხსენებანი გააკეთეს აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ანჩაბაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ძიძარიამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ამიჩბამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, დოცენტმა ი. ბაქრაძემ.

გეორგიევსკის ტრაქტატი — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ქარტია — შემობრუნების პუნქტი გახდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ კავკასიის ყველა ხალხის ცხოვრებაშიც, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე. ამ ნამდვილად ისტორიული აქტით ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს. რუსი, ქართველი, აფხაზი, საბჭოთის სხვა ხალხების დიდი მეგობრობის ფესვებმა შესანიშნავი აღმონაცენი მოგვცა. თანასწორთა შორის თანასწორმა სოციალისტურმა საქართველომ, და მასთან ერთად აფხაზეთის სსრ რესპუბლიკამაც, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. (საქინფორმი).

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲯᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა

უენევა, განიარაღების კომიტეტის პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა — გამართონ მოლაპარაკება ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის პრობლემაზე შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების შემუშავების მიზნით. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ლ. ისრაელიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის პრობლემა ჩვენს დროში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და აქტუალურია, იგი დღის წესრიგში თვით ცხოვრებამ დააყენა“.

ყველას ახსოვს ისრაელის ავიაციის ავადმყოფური თავდასხმა ერაყის სამეცნიერო-კვლევით რეაქტორზე.

მშვიდობიანი ბირთვული დანადგარების დანგრევა ჩვეულებრივი იარაღითაც კი თავისი შედეგებით ფაქტობრივად ნიშნავს თავდასხმას ბირთვული იარაღის გამოყენებით, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა. ხოლო ასეთი ობიექტების დანგრევას ბირთვული იარაღის გამოყენებით საერთოდ გლობალური ხასიათის კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყვეს. მშვიდობიან ბირთვულ დანადგარებზე თავდასხმების თავიდან აცილების საკითხი უნდა გახდეს სერიოზული მოლაპარაკების საგანი განიარაღების კომიტეტში შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ ღონისძიებათა შემუშავების მიზნით.

ერთა სასახლის წრეებში უკრაღღებას მიაპყრობენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები აფერხებენ კომიტეტის მუშაობას ამ პრობლემაზე, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანში ფართოვდება სახალხო წინააღმდეგობა ისრაელი აგრესორებისადმი

იბლ ას-საქის რაიონში პატრიოტებმა მოსპეს ისრაელი ჯარების საბრძოლო მასალების საწყობი. იქ გაჩენილი ხანძარი გავრცელდა ახლომდებარე უაზარმებზე. ცეცხლი თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში ბობოქრობდა. წინააღმდეგობის მებრძოლებმა ააფეთქეს ტელ-ავივის დამქაშების მაიორ ჰადადის სეპარატისტულ ფორმირებათა რადიოსადგურისა და ტელეცენტრის შენობა.

ისრაელის მხედრიონი, რომელსაც არ ძალუძს ჩაახშოს პარტიზანული ბრძოლა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართავს უმკაცრეს ტერორს და რეპრესიებს.

საოკუპაციო ჯარებმა მოაწყვეს დასახლებულ პუნქტ ჰასბაიასა და მიანარე ზაჰრანის რაიონში ადგილმდებარეობის გაჩხრეკის ოპერაციები. დამსჯელი აქციების დროს გამოიყენეს ვერტმფრინავები. ამავე დროს ისრაელის თვითმფრინავები დაფრინავდნენ დაბალ სიმაღლეზე ქალაქ საიდას თავზე.

ᲣᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲖᲔ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

სოციალისტურ ქვეყნებში

● ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

გადავიდნენ ელექტროენერგიაზე

სოფია. გიგანტური წრე შექმნეს რკინიგზელებმა, რომელთა ელექტრიფიკაცია დამთავრეს ბულგარელმა მშენებლებმა და ელექტრომონტაჟიორებმა. მაგისტრალებმა სოფია დაუკავშირეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებს. სამუშაოთა უკანასკნელი უბანი გახდა ვარნა-რუსეს გზა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს. მასთან ერთად „წრის“ საერთო სიგრძემ დაახლოებით 1700 კილომეტრი შეადგინა. ამგვარად შეტანილია მნიშვნელოვანი წვლილი ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილების შესრულებაში — მომდინარე ხუთწლედის წლებში (1981-1985 წლები) დამთავრდეს 700 კილომეტრი რკინიგზის ელექტრიფიკაცია.

ბულგარელი ეკონომისტების აზრით, რესპუბლიკის ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალების ელექტროწევაზე გადაყვანის შედეგად ტვირთბიდვის თვითღირებულება დაახლოებით 2,5-ჯერ შემცირდება. გარდა ამისა შემადგენლობათა მოძრაობის გაზრდილი სიჩქარის მეოხებით მნიშვნელოვნად გაიზრდება გზების გამტარუნარიანობა და მაშასადამე, ტრანსპორტირებული ტვირთის საერთო მოცულობა.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — არსებითად გაანავითარონ და განაახლონ რკინიგზის ქსელი, რომლითაც, გეგმების თანახმად, 1990 წლისათვის გადაიტანენ ტვირთის 55 პროცენტს და გადაიყვანენ მთელი მგზავრების დაახლოებით 30 პროცენტს.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

● ᲙᲣᲑᲐ

სოციალისტური კუბის წარმატებები სახალხო ხელისუფლების წლებში ნამდვილად შთამბეჭდავია. პირველივე წლებში რევოლუციური ხელისუფლება სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების გზას დაადგა.

სურათზე: მზა კომბაინები ქალაქ ოლგინის ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის ქარხანაში, რომელიც სსრ კავშირის დახმარებით აიგო.

საკლესინის ფოტო.

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩეხოსლოვაკიაში ატომური ენერგეტიკა. მოაერობის პროგრამის შესაბამისად ელექტროენერგიის წარმოების ზრდას მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ატომური ელექტროსადგურების აგება. ისინი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში სსრ კავშირთან თანამშრომლობით იგება. იასლოვსკ-ბუგუნიცაში მოქმედი ჩეხოსლოვაკიაში პირველი ატომური ელექტროსადგური მოწმობს რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების ამ გზის სისწორეს.

სურათზე: იასლოვსკ-ბუგუნიცის ატომური ელექტროსადგური.

ჩტკ-საკლესინის ფოტო.



საინვესტიციო ექსპოზიცია

● ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ხოშიმინი. ხოშიმინის მოსახლეობის ფართო ფენების უდიდესი ინტერესი გამოიწვია ვიეტნამის სახალხო მეურნეობის მიღწევათა აქ გახსნილმა გამოფენამ. გამოფენის ექსპოზიცია საინტერესოდ მოუთხრობს მნახველებს რესპუბლიკის სამხრეთში სოციალისტური გარდაქმნების წარმატებებზე.

ბევრ დამთვალიერებელს იზიდავს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვისადმი მიძღვნილი განყოფილება. სამეცნიერო ნამუშევრების მეოხებით ბევრ საწარმოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, სახელმწიფომ დაზოგა ათობით მილიონი დონგი.

გამოფენა აგრეთვე ასახავს რესპუბლიკაში საწარმოო კოოპერაციის, ერთიანი ეკონომიკური სტრუქტურის განმტკიცებას.

გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია სხვადასხვა ნაწარმი, რომელსაც ხოშიმინელები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისათვის უშვებენ.

● ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘ

მეცხოველეთა პასუხსაგები ხანა

ულან-ბატორი. პასუხსაგები დრო დაუდგათ მონღოლელ მეცხოველეებს: ქვეყნის მეურნეობებში დაიწყო პირუტყვის მასობრივი მოგება. ამ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო კამპანიის მასშტაბს მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო ერთ-ერთ არაპანგაის აიმაკში უნდა მიიღონ და გამოზარდონ 700 ათასზე მეტი სული მოზარდეული.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, სახელმწიფო მეურნეობების მშრომელებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს. მათ უხვად მოიმარაგეს საკვები, გაარემონტეს და ააგეს ახალი სადგომები.

ყურადღება, რომელსაც ამ კამპანიის ჩატარებას უთმობენ, ბუნებრივია, მეცხოველეობის წილად ხომ ქვეყნის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამი მეოთხედი მოდის. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიამ და მთავრობამ მონღოლეთის მეშვიდე ხუთწლედის, მესამე, გადამწყვეტ წელს დასახეს პასუხსაგები ამოცანა — გამოზარდონ სულ ცოტა 9,4 მილიონი სული მოზარდეული.

ᲖᲐᲜᲐ ᲓᲐᲬᲬᲐ ᲠᲐᲘᲮᲡᲢᲐᲒᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲬᲔᲕᲔᲑᲘ

ბონი. როგორც დპას სააგენტო იუწყება, ნიურნბერგში სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო პროცესზე მთავარი ბრალმდებლის ყოფილმა მოადგილემ რობერტ კემპნერმა (ნიურნბერგის პროცესზე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმომადგენლობდა) მიაგნო 1933 წლის ლაიფციგის იმ პროცესის ორ ახალ მოწმეს, რომელზეც ჰიტლერელებმა კომუნისტებს რაიხსტაგის დაწვა დაბრალეს და ამ საბაბით მათ წინააღმდეგ რეპრესიებისა და დევნის კამპანია გააჩაღეს. ამჟამად რ. კემპნერი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს და ადვოკატობას ეწევა.

ერთ-ერთმა მოწმემ რუდოლფ დილმა, რომელიც 30-იან წლებში პრუსიის შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის და რაიხსტაგის პრეზიდენტის გერინგის ოახლოს ეკრემოცვაში იყო, რ. კემპნერს განუცხადა, რომ „რაიხსტაგის დაწვის უშუალო ორგანიზატორი თვით გერინგი იყო“. ზედამიწევნით ცნობილია მისი სიტყვები: „ფიურერმა მითხრა, რომ რაიხსტაგი კომუნისტებმა დაწვეს და მე (გერინგს) ეს უნდა მეცნობებინა პრესის წარმომადგენლებისათვის“.

ასე შეთითხნეს ეს სამარცხვინო „საქმე“ კომუნისტების წინააღმდეგ.

კემპნერს მოყავს ლიუფტვაფეს ყოფილი კაპიტნის ლერეცერის სიტყვები, რომელიც რ. დილს გამოუტყდა, რომ სწორედ მან მეშტურმეთა დახმარებით დაწვა რაიხსტაგი, რაზედაც გერინგის პირადი ბრძანება მიიღო.

ადვოკატის აზრით ეს ჩვენებები ნათელს ჰფენენ ლაიფციგის პროცესს, და ამიტომ მის მიერ მოკვლეულმა ორივე მოწმემ თავიანთი ჩვენებები უნდა მისცენ ფედერალურ სასამართლოს ოფიციალურად ოქმში გასატარებლად. მაგრამ, როგორც აქ ცნობილი გახდა, ფედერალურ სასამართლოს არ სურს ამ საკითხს ხელი მოჰკიდოს და უარს თავისი „არაკომპეტენტურობით“ ასაბუთებს. ამის გამო სრულიად კანონიერად ისმება კითხვა; ხომ არ აპირებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეს სასამართლო ინსტანცია სრულ დავიწყებას მისცეს ლაიფციგის პროცესი, რომელმაც გერმანული ფაშიზმი ამხილა?

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ

ქვიშის ქარიშხლები

კაირო. ძლიერი ქვიშის ქარიშხლები დაატყდა თავს არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქს აბუ დაბის. როგორც კაიროს დიპლომათა სააგენტო იუწყება, დახურულია დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტი. შტორმების შედეგად არაბთა გაერთიანებული საამიროების მთელ რიგ საზღვაო ნავსადგურებში სპარსეთის ყურის ხანაპირზე გამოცხადებულია საგანგებო წესები.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

„დემოკრატიის დაცვის“ საბაბით

მილიონობით დოლარი დემაგოგიისა და ცილისწამებისათვის

ვაშინგტონი. პრეზიდენტ რეგანის მიერ გამოცხადებული „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობით“ ფართაშეხსმულმა ამერიკის საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოების ხელმძღვანელებმა მოითხოვეს კიდევ ახლებით მილიონი დოლარის გამოყოფა.

საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოს წარმომადგენლებმა, რომელიც ნომინალურად აკონტროლებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მფარველობით მოქმედ რადიოსადგურებს „თავისუფლებასა“ და „თავისუფალ ევროპას“, სენატის ასიგნებათა და საგარეო საქმეთა კომისიების სხდომებზე მოითხოვეს ეთერის დივერსანტთა ოპერაციებისათვის 1984 წელს გამოყონ 106 მილიონი დოლარი და 21 მილიონით გაადიდონ მიმდინარე წლისათვის კონგრესის მიერ დამტკიცებული 90 მილიონი დოლარი თანხა.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა, ჩ. უიკმა, რომელმაც საძრახისი სიტყვა მოიხვეჭა ამერიკის შეერთებული შტატების საჯაშუშო უწყებასთან მჭიდრო ურთიერთობით, აშკარად განაცხადა, რომ მას აუცილებლად სჭირდება დამატებითი სახსრები, ფსიქოლოგიური ომის წარმოებისათვის, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო „ეროვნული უშიშროების აპარატის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია“.

ჩ. უიკმა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ბიუჯეტი 1984 საფინანსო წლისათვის გაიზარდოს 711,4 მილიონ დოლარამდე, რაც 113,8 მილიონით აღემატება გასული წლის ბიუჯეტს. გარდა ამისა მან დაჟინებით მოითხოვა 1983 საფინანსო წლისათვის დამატებითი ასიგნებები 52,2 მილიონი დოლარის ოდენობით.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს საქმიანობის საფუძველი ხდება ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ეგრეთ წოდებული „დემოკრატიისა და საჯარო დიპლომატიის პროგრამა“, რომლის განხორციელებისათვის თეთრი სახლი გამოყოფს 65 მილიონ დოლარს. ამ პროგრამის არსი, როგორც ცნობილია, არის ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა, გააფართოოს ჩარევა სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში „დემოკრატიის დაცვის“ საბაბით. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა განაცხადა, პროგრამა ითვალისწინებს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ლიდერების მომზადებას, ანუ მათ იდეოლოგიურ დამუშავებას პროამერიკული სულისკვეთებით, საზღვარგარეთ განათლების სისტემაზე ზეგავლენის მოხდენას, იქ ამერიკული ყაიდის „დემოკრატიული ინსტიტუტების“ განმტკიცებას, „იდეების გაზიარების“ გაფართოებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ სხვა ქვეყნებისათვის ამერიკული შეხედულებების უხეშად თავს მოხვევას.

პროგრამის რეალიზაციაში მთავარი როლი განეკუთვნებათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „სპეციალისტებს“ და ერთიანი შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა განაცხადა, პროგრამა ითვალისწინებს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ლიდერების მომზადებას, ანუ მათ იდეოლოგიურ დამუშავებას პროამერიკული სულისკვეთებით, საზღვარგარეთ განათლების სისტემაზე ზეგავლენის მოხდენას, იქ ამერიკული ყაიდის „დემოკრატიული ინსტიტუტების“ განმტკიცებას, „იდეების გაზიარების“ გაფართოებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ სხვა ქვეყნებისათვის ამერიკული შეხედულებების უხეშად თავს მოხვევას.

პროგრამის რეალიზაციაში მთავარი როლი განეკუთვნებათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „სპეციალისტებს“ საჯაშუშო უწყების ფილიალებს, სხვადასხვა ჯურის ძირგამომთხრელ „რადიოხმებს“.

თვით ასეთი ფართო მასშ

პირველად 1974 წელს ვესტფარე მსოფლიოში სახელგანთქმული ბიურაკანის ობსერვატორიის ხელმძღვანელს, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს ვიქტორ ამბარცუმიანს, რომლის მიერ შემუშავებული სამყაროს წარმოშობის თეორია ბიურაკანულ თეორიად მონათლეს მეცნიერებმა.

მაშინდელ ჩვენს საუბარს ლენინგრადელ პროფესორ იური ანდრეევთან ერთად მთელი გვერდი დაუთმო „ლიტერატურნაია გაზეტამ“. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა, და, აი, ისევ აქ ვარ, ბიურაკანში. ისევ გულთბილად მიმიღო სახელგანთქმულმა მეცნიერმა, ამჯერად უკვე ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქემ ვიქტორ ამბარცუმიანმა.

ქვემოთ დაბეჭდილი ჩვენი დიალოგის მკითხველი იოლად შეამჩნევს, რა ლაკონიურია და კონკრეტული ვ. ამბარცუმიანის მოსაზრებანი. იგი, როგორც დიდი მეცნიერი, მაქსიმალურად ერიდება ვარაუდებსა და ჰიპოთეზებს. ერიდება აგრეთვე იმ თემებზე საუბარს, რომლებიც სცილდება მისი მეცნიერული კვლევის ფარგლებს.

გურამ ფანჯიკიძე

მწერალი: ბატონო ვიქტორ, ჩვენი პირველი შეხვედრიდან გასული ათი წელიწადი დღევანდელ პირობებში ასტრონომიული მეცნიერებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე მთელი XVIII ან XIX საუკუნე. ისიც უნდა ვთქვათ, მართალია, ამ ხნის მანძილზე რევოლუციური აღმოჩენები არ მომხდარა, მაგრამ სამყაროზე პრაქტიკულ დაკვირვებათა შედეგად იმდენი ახალი, საინტერესო, ზოგჯერ დამაფიქრებელი და ძნელადასახსნელი ინფორმაციებია მიღებული, რომ თეორეტიკოსები მათ გაშიფვრას ვეღარ აუდიან.

მაგრამ დავიწყოთ თავიდან.

თანამედროვე ასტროფიზიკაში ორი საწინააღმდეგო კონცეფციაა სამყაროს წარმოშობის თაობაზე. კლასიკური და ბიურაკანული, რომლის მამამთავარიც თქვენ ბრძანდებით.

კლასიკური კონცეფციის მომხრენი თვლიან, რომ სამყარო წარმოიშვა დიფუზორული ნივთიერებების შესქელების შედეგად.

შეიძლება ითქვას, დღემდე ამ თეორიას მეტი მომხრე ჰყავდა, მაგრამ დაკვირვებებმა თანდათან დაამტკიცა თქვენი თეორიის სისწორე, რომ სამყარო წარმოიშვა დიდი აფეთქების შედეგად, და რომ, საერთოდ, კოსმოსური ობიექტები წარმოიქმნებიან მყარი და ზემყარი ვარსკვლავების დაშლის, აფეთქების კვალდაკვალ.

თქვენ თვლით, რომ დიდი აფეთქების პროცესი კვლავ გრძელდება ლოკალური მასშტაბებით, რომ მეტაგალაქტიკაში, თვითგალაქტიკაშიც არსებობენ ზემკვრივი ვარსკვლავები, რომელთა აფეთქების შედეგად გამოიტყორცნება უზარმაზარი მასები. ეს მასები, კი, როგორც თქვენ ამბობთ, საკმარისია არა მარტო ცალკეული ვარსკვლავების, არამედ თვით ახალი გალაქტიკების წარმოსაშობადაც. კი. მაგრამ მეცნიერებმა გაიანგარიშეს, რომ კიბორჩხალის ნისლოვანებაში არსებული პულსარი NP-532 წამში 30 ბრუნვისს სიჩქარით ბრუნავს. მანამდე მიაჩნდათ, რომ ეს პულსარი წარმოიშვა 1054 წელს ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების შედეგად.

მეცნიერები გამოთვლების შედეგად მივედნენ იმ დასკვნამდე, რომ პულსარი წარმოშვა არა ზეახალი ვარსკვლავის აფეთქებამ, არამედ უფრო ნაკლებად მკვრივი სხეულების შემჭიდროებამ, მეცნიერთა აზრით, სხვა ვარაუდი არ არსებობს, რადგან გამოთვლებს საწყისი სხეულის ბრუნვის ისეთ სიჩქარესთან მიყავართ, რომელიც არამცთუ მდგრადობის ზღვარზეა, სცილდება კიდეც მას.

იქნებ, თქვენი თეორიის გვერდით კონდენსაციასაც აქვს ადგილი? იქნებ დაშლის, აფეთქების გვერდით არსებობს შემჭიდროვება-შედეგებიც?

გავიხსენთო, როგორ შეერთდა შრედინგერისა და ჰაიზენბერგის ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები, როცა ისინი ცდილობდნენ მიკრომექანიკის აგებას. ერთი მათგანის (შრედინგერის) ამოსავალი წერტილი იყო მატერიის ტალღურობა და უწყვეტობა, მეორისაკი (ჰაიზენბერგი) ნაწილაკების და წყვეტილობა.

ეს ორი თეორია დიამეტრალურად უპირისპირდებოდა ერთმანეთს, მაგრამ... მოხდა საოცრება:.. ორთავე თეორია შეერთდა! შეერთდა, რადგან, მიუხედავად თეორიათა წინააღმდეგობებისა, დაკვირვება ერთ თეორიასაც ამართლებდა, და მეორესაც. აღმოჩნდა მიკროსამყაროს ორსახეობა — ტალღა-ნაწილაკობა.

იქნებ, თქვენ შემთხვევაშიც ერთმანეთის გვერდით არსებობს კონდენსაციაც და დაშლა-აფეთქებაც? იქნებ, მომავალმა კოსმოლოგიურმა თეორიამ გაიერთიანოს კლასიკური და ბიურაკანული თეორიები?

მეცნიერი: თქვენ საკითხი ძალზე ფართოდ დასვით, ბიურაკანში შექმნილ კონცეფციებს საერთო არაფერი აქვს კოსმოლოგიასთან. ჩვენ ბიურაკანში კოსმოლოგიის საკითხებს არ ვიკვლევთ. მართალია, კოსმოსში არსებულ ციურ სხეულთა ევოლუციის საკითხში ბიურაკანული პოზიცია უპირატესობს მყარი სხეულების გაფართოებისა და აფეთქებების პროცესებს ანიჭებს (მაშინ, როცა კლასიკური პოზიციის მიხედვით, მყარი სხეულები კონდენსაციის შედეგად არიან წარმოქმნილნი), მაგრამ მაქვს კიდეც სრულიად მარტივი საბუთი, რომელიც ჩვენი კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველებს. მისი არსი ასეთია: ჩვენ მიწიერ ობსერვატორიებში უშუალოდ ვაკვირდებით ვარსკვლავების აფეთქებებს და ვხედავთ, ამ აფეთქებების შედეგად როგორ წარმოიქმნება ნისლეულები. დამახასხონ, როგორ გარდაიქმნებიან ნისლეულები ვარსკვლავებად, და მაშინ ვაღიარებ, რომ სამყაროში კონდენსაციის მოვლენებიც ყოფილა.

მწერალი: ნეიტრინოს არსებობა ჯერ კიდევ შვეიცარიელმა ფიზიკოსმა ვ. პაულმა იწინასწარმეტყველა, ხოლო 1933 წელს იტალიელმა ენრიკო ფერმიმ საბოლოოდ დაადასტურა და მას ნეიტრინო — „პატარა ნეიტრონი“ უწოდა.

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა დრო და ნეიტრინო ამოდენა ადგილს დაიჭერდა ელესპერიმენტულ და თეორიულ მეცნიერებაში.

ნეიტრინოს ბუნების გარკვევა არ შეადგენს ჩემი დღევანდელი შეკითხვის თემას. მხოლოდ ერთი ასპექტიდან მინდა შევეხო ამ საოცარ ნაწილაკს, რომელსაც შესწევს უნარი ერთ მწკრივში ჩაყენებული მილიონობით დედამიწა ისე გაიაროს, ვითომც აქ არაფერიაო. ო. ბორისოვი წერს: „ბოლო ხანებში არაერთხელ გაუცვიფრებია მთელი ფიზიკა და კოსმოლოგია საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენებს. დაბეჭდილი ექსპერიმენტის სერიებით მათ დადგენეს, რომ ნეიტრინოს — ამ ნაწილაკ-მოჩვენებას, თითქმის დადგენილი აზრის საწინააღმდეგოდ, სასრული მასა აქვს. ეს მასა გაჭრობამდე მცირეა, ელექტრონის მასის ერთი მეათასედიდან ოცდამეათიათასამდე წილადს აღწევს. მაგრამ ესეც საკმარისია, რომ მკრო და მაკრო სამყაროს ფიზიკურ წარმოდგენაზე რევოლუციური ზემოქმედება მოახდინოს“.

ჩვენ ვიცით, რომ მეტაგალაქტიკა თანდათან ფართოვდება და მილიარდობით გალაქტიკა უკიდეგანო სივრცეში იკრგება. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს? თანამედროვე მეცნიერება ვარაუდობს, რომ, თუ სამყაროში ნივთიერების სიმკვრივე უფრო ნაკლებია ეგრეთ წოდებულ კრიტიკულ მნიშვნელობაზე (1928 გ სმ³), მაშინ გრავიტაციული ძალები მათ ვერ მოთოკავენ და მთელი მატერია (თუკი მატერიალური მარტო ჩვენი მეტაგალაქტიკაა სამყაროში) სივრცეში გაიფანტება: ხოლო თუ მასის საშუალო სიმკვრივე მეტია კრიტიკულზე, მაშინ ვარაუდობენ, რომ გაფართოება გაგრძელდება კიდევ რამდენიმე ათეული მილიარდი წლის მანძილზე, ხოლო შემდეგ იგი კვლავ შეიკუმშება და სამყარო დაუბრუნდება პირველ მდგომარეობას (დიდ აფეთქებამდე რომ იყო). მისი სიმკვრივე და ტემპერატურა კვლავ უსასრულოდ დიდი გახდება.

ნეიტრინოების სასრულო მასის აღმოჩენამ დაადასტურა, რომ შესაძლებელია ზღვარი დაედოს მატერიის გაფანტვას სამყაროში. აი, რას ამბობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. პარიისკი: „ჯერ-ჯერობით, დაკვირვებათა მონაცემებით, მასში არ არის საკმარისი ნივთიერებანი, რომ შეაჩერონ გალაქტიკების სრბოლა. ამასთან ცნობილია, რომ მთელი გალაქტიკათშორისი სივრცე სავსეა ნეიტრინოებით. ...მაგრამ კოსმოლოგიის მათგან სასარგებლო დიდი არაფერი ექნება, თუ ისინი უსხეულონი არიან და არ გააჩნიათ მუდმივი მასა. და უცებ აღმოჩნდა, რომ ნეიტრინოს აქვს მასა. აღმოჩენილი მასა გამოვლეს უხილავთა რაოდენობაზე სივრცეში და ნივთიერებანი გაცილებით მეტი მიიღეს, ვიდრე ის ნივთიერებანი, რომლებზეც დაკვირვება უშუალოდ არის შესაძლებელი. სამყაროს, როგორც ერთ-ერთ ობიექტს, ეს ფაქტი ფუძემდეს ერევა. ...ეს ფაქტი ... ეს ... ეს ... ეს



სახელოვანი ესტაფეტა

ისე, ბედი არ გინდა? — მეშვიდე კლასში გადმოვიდა თბილისის ქართული სკოლიდან მოსკოვში და პირველივე კვაკვეთილი რუსულ ენაში კარნახი იყო! მაგრამ ხომ არ გგონიათ, რაიმე შეიმჩნია? — რიხით შეუდგა წერას. მერე კი, ნამუშევრის გასწორებისას, მასწავლებელმა მის ნაწერში გრამატიკულ შეცდომათა რეკორდული ციფრი აღმოაჩინა — 45.

იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, მით უმეტეს, რომ ბედმა გაუღიმა, არც თანაჯგუფელებს დაუციანიათ და არც მასწავლებელს უგრძნობინებია ყმაწვილისათვის ზოგჯერ საჩოთირო და გამაღიზიანებელი სიბრალული და გადამეტებული მზრუნველობა...

— იმ ორმოცდახუთ გრამატიკულ შეცდომას რომ ასე ძლიერ არ ემოქმედა და უმალ არ დამეძაბა ჩემი ფიზიკური თუ სულიერი ძალები, ვინ იცის, მართლაც, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. მით უმეტეს, რომ მამა ობოლი ვიყავი, — სევდანარევი ღიმილით იგონებს ცნობილი ქართველი ინჟინრის, „ზაჰესის“ ამშენებლის ბესარიონ ჭიჭინაძის უმცროსი ვაჟი, პროფესორი ავთანდილ ჭიჭინაძე. — ჩემთვის ცხადი გახდა, რომ უწინარეს ყოვლისა, ჯერ რიგიანად რუსული ენა უნდა ამეთვისებინა და მერე მეფიქრა, მამის კვალს გავყოლოდი თუ უფროსი ძმისას, რომელმაც უკვე საბალიტო ხელოვნებას დაუკავშირა თავისი ბედი. ბოლოს ისევ მოსკოვის ელექტრომექანიკური ინსტიტუტის ტრანსპორტის საინჟინრო ფაკულტეტზე ჩავბარე გამოცდები.

ავთანდილის უფროსი ძმა — ალექსი ჭიჭინაძე დღეს საქვეყნოდ ცნობილი ბალეტმაისტერია, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური აკადემიური თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი, მაგრამ არც უმცროსი ძმა ჩამორჩება ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლით.

ინსტიტუტი მან ოთხ წელიწადში დაამთავრა წარმატებით, შემდეგ სამი წელი წარმოებაში იმუშავა, სამი წელიც ასპირანტურას მოანდომა და მისი დამთავრებისთანავე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებაში.

ერთხანს რკინიგზის ტრანსპორტზე იმუშავა, შემდეგ საავიაციო მრეწველობაში, 1956 წლიდან კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ბლაგონრავოვმა გადაიყვანა თავისთან. ამ ინსტიტუტთან, რომელიც ახლა სწორედ აკადემიკოს ა. ა. ბლაგონრავოვის სახელს ატარებს, დაკავშირებულია ავთანდილ ჭიჭინაძის მთელი შემდგომი მეცნიერული კარიერა. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი შემდგომ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, პროფესორი, მასალათა სახახუნო თვისებების კვლევის ლაბორატორიის გამგე...

დღეისათვის პროფესორი ა. ჭიჭინაძე 225 გამოქვეყნებული ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიის თუ ცნობარის და 30 გამოგონების ავტორია. მისი რედაქტორობით სისტემატურად გამოდის სხვადასხვა მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული მონოგრაფია თუ კრებული. ავთანდილ ჭიჭინაძის ნაშრომები გამოსულია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ჩინურ და სხვა ენებზე. აი, ზოგი მათგანი: „დამუხრუჭების დროს გარეგანი ხახუნის კვლევა და გამოთვლა“, „ხახუნისა და ცვეთის თეორია“ და სხვა.

პროფესორი ა. ჭიჭინაძე დიდ დროს ანდომებს სამეცნიერო კადრების აღზრდას, ლექციებს უკითხავს სტუდენტებს, ინჟინრებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მსმენელებს, ხელმძღვანელობს ასპირანტებს. მომზადებული ჰყავს 25 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის ხუთი ქართველი. ხშირად კითხულობს მოხსენებებს საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ამ დიდი ღვაწლისათვის დაბადების 60 წლის თავზე პროფესორ ა. ჭიჭინაძეს რუსეთის სფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

მაგრამ სამოცი წლისა რა ეტყობა ამ ახოვანსა და საოცრად ახალგაზრდული იერის კაცს! თუმცა არც ეს არის გასაკვირი — ავთანდილ ჭიჭინაძე ხომ იმთავითვე შესანიშნავად უთავსებდა სპორტს მეცნიერებას. იგი ცნობილი ნიჩბოსანია: როგორც საზოგადოება „სპარტაკის“ წევრი, ორჯერ იყო (1951-53 წ. წ.) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შემდეგ დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად, მოამზადა 12 სპორტის ოსტატი, მათ შორის 4 ევროპის ჩემპიონი. 70-იან წლებში მოსკოვის ვეტერანთა გუნდის უფროსი იყო აკადემიურ ნიჩბოსნობაში და 1972 წელს მოსკოვში გამართულ ევროპის ვეტერანთა პირველობაზე მეორე ადგილი მოიპოვა.

ის მშვენიერი მეოჯახე და კარგი მამაა. მისი მეუღლე — მარიამ სიმონინა, ცნობილი ფრენბურთელი, 1950-58 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ათჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი და ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი, ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში. ავთანდილ ჭიჭინაძის ქალ-ვაჟი, თუმცა სპორტში არ გაჰყვნენ მამის კვალს, მაგრამ მეცნიერებაში, როგორც ჩანს, მისი გზის გამგრძელებლები იქნებიან. უფროსი ვაჟი, ალექსანდრე უკვე ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ასპირანტია, უმცროსი კი ტატიანა წელს ამთავრებს საშუალო სკოლას და ბაბუისა და მამის გზა აურჩევია.

ასეთია ერთ-ერთი მოსკოვური ქართული ოჯახი, სახელსა და პატივს რომ მატებს ჩვენს რესპუბლიკას.

გიორგი დოლიძე.

სურათზე: პროფესორი ა. ჭიჭინაძე თავის ლაბორატორიაში ახსნა-განმარტებას აძლევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. ალექსანდროვს.

ჰეროიკა — ყოველ-დღიურობაში

თბილისის გლდანის სახელმწიფო თეატრის დღევანდელი და ხვალინდელი დღე

...ერთხელ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ ერთ ახალგაზრდა მსახიობ ქალს ჰკითხა, რატომ არის, რომ სცენა მაყურებელთა დარბაზზე მაღალია. იმიტომ, უპასუხა მან, რომ მაყურებელს შეეძლოს უკეთ დაინახოს, რა ხდება სცენაზეო. „მე კი ვფიქრობ, — თქვა ვლადიმერ ივანეს ძემ, — იმიტომ, რომ სცენაზე მიმდინარე ცხოვრება ერთი მეტრით მაინც მაღლა უნდა იყოს ჩვენს ყოველდღიურობაზე“. დიდი რუსი რეჟისორის ამ აზრის თავისებური დადასტურება გახდა, მეორე დიდი შემოქმედის — სანდრო ახმეტელის ცხოვრებისეული ფორმულა: პოეზია და ჰეროიკა — ყოველდღიურობაში, და არა ყოველდღიურობა პოეზიისა და ჰეროიკაში. სწორედ ეს მცნება გახდა საქართველოს დედაქალაქის გლდანის მიკრორაიონში ერთი წლის წინ შექმნილი თეატრის — რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების კამერტონი.

ამ თეატრმა ხელოვნებაში სიცოცხლე დაიწყო ყველაზე ძირითადით — სიმართლით. მისი პირველივე დადგმა — „ოპტიმისტური ტრაგედია“ შემოქმედებითი კოლექტივის სერიოზული განცხადები გახდა.

არსებობის მეორე წელს თბილისის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში უკვე რვა დადგმაა, ახლა კიდევ ორზე მუშაობენ, თითოეულ მათგანში თეატრის კოლექტივი აკვირდება ცხოვრებას, გულახდილად მსჯელობს ყოფიერების ამაღელვებელ პრობლემებზე, ამკვიდრებს აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციებს.

...ეს საუბარი გაიმართა თეატრში, სადაც მისი მთავარი რეჟისორი და დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. პაქსაშვილი ატარებდა რეპეტიციას სპექტაკლისას „შუქი, წყვდიადში დაბადებული“, რომელიც იდგმება ქართველი დრამატურგის გ. ბათიაშვილის პიესის მიხედვით.

შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ დადგმაზე, პარალელურად ამზადებს სპექტაკლს — გ. ნახუცრიშვილის „კომბლეს“.

— გ. ბათიაშვილის პიესაზე მუშაობას ეს-ეს არის ვიწყებთ: ვსწავლობთ მასალას, ეპოქას. ვსიხჯავთ მსახიობებს როლისათვის, ასე რომ, ჯერ, ალბათ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი, თუ როგორი ქნება ეს სპექტაკლი, — თქვა ლ. პაქსაშვილმა — მარტო ერთს მოგახსენებთ: მინდა, რომ სცენიდან მსახიობებმა მეგობარ მაყურებელს გაუმართონ სერიოზული სხა-ბაასი ადამიანისა და სამშობლოს, ხალხის წინაშე მისი შვილური ვალის შესახებ.

როგორია თეატრის მიმართულების ძიების ორიენტირები? ყოველი დადგმით ვცდილობთ მოვახსოთ საკუთარი კრედო—შეექმნათ პოეტურ-ჰეროიკული მიმართულების თეატრი.

ჩვენი თეატრი მდებარეობს თბილისის ახალ, მუშათა რაიონში, და ეს დასს აკისრებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას — გადაგაქციოთ თეატრი ესთეტიკური აღზრდის ნამდვილ კერად.

მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტაში ბევრია შემოქმედებითი, ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემა. და უფრესად ყოველისა — ეს არის კადრების პრობლემა. დასში მხოლოდ 22 მსახიობია. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით ჩვენთან გამოიგზავნა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ჯგუფი, მაგრამ რატომღაც იგი რუსთაველის სახელობის თეატრში აღმოჩნდა... დღემდე არ გადაწყვეტილა რეჟისურის კადრებთან დაკავშირებული საკითხიც.

თეატრს სჭირდება კრიტიკის მუდმივი დახმარება და დრამატურგების მხარში ამოდგომა.

დიახ, გლდანის თეატრი ცოცხლობს, მოქმედებს. მას შეფიცჰყავს — რაიონის პარტიული ორგანიზაცია. იგი ბევრ რამეში ეხმარება თეატრს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს თეატრი მარტო გლდანის კი არა, თბილისისაც არის და, რომ თეატრი მხოლოდ იწყებს თავის ცხოვრების გზას, მაშასადამე, მას უფრო ფართო დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება.

ს. ჩიაძეა,
(საქინფორმის კორ.).

ალმასვლა

ფეტრიხები პორტრეტისათვის

ეროი შეხედვით თითქოს არაფერია უჩვეულო იმ სწრაფ აღზევებაში, რომელმაც მანანა დოიჯაშვილი ესოდენ ფართო საშემსრულებლო სარბიელზე გაიყვანა და ქართული პიანისტური სკოლის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს საკავშირო და საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მართლაც და, მანანამაც ხომ ისეთივე თანამიმდევრობით განვლო პროფესიული განსწავლის საფეხურები, როგორც მისმა მრავალმა თანატოლმა, რომელთაც საბჭოთა სინამდვილე, შემოქმედებითი ახალგაზრდობის ყველის დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ბუნებითი ნიჭის გამოვლინების ესოდენ ფართო შესაძლებლობებს აძლევს და ხელოვნების მაღალ მწვერვალებთან შეჯიდებისაკენ მოუხმობს. და მაინც, პროფესიული წრთობის ამ მკაცრად გათვლილ, რიტმულ დინამიკაში ბევრი რამ „უჩვეულოც“ გახლდათ. ეგულისხმობთ, შესაძლებლობათა რეალიზების „უცდომელ ინსტინქტსაც“, მ. დოიჯაშვილის აირეჩილი ნების შესაფერი შეუპოვრობით გარდატეხის ფრიად საეჭვო ფაქტებს რომ წარმოგვიჩენს და შესანიშნავი პიანისტის ჭეშმარიტად დიდი წარმატებანი განაპირობა.

მაღალ სააზროვნო პიანიზმისაკენ მ. დოიჯაშვილის სვლის გზა მრავალ გარდასახულს შეიცავს. თვითგამოსახვის ამ გზაზე სიძნელეებთან „შერკინება“ მან ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა ისწავლა. მართალია, წარმატებანი თან სდევდა მის უკვე პირველსავე ბავშვურ ნაბიჯებს, რომელთაც, სხვათა შორის, უკვე სრულიად „არაბავშვური“ სახოვანი აზროვნება და პიანისტური ტექნიკიზმის დონე წარმოაჩინეს (მხედველობაში გვაქვს V-კლასელი მოწაფის მიერ შუმანის საფორტეპიანო კონცერტის შესრულება ზ. ხუროძის დირიჟორობით საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად), მაგრამ განვითარების პროცესი ხომ, პირველ ყოვლისა, თვითგანვლრტის, თვითჩაღრმავებისა და შემოქმედებითი ზრდის შინაგანი იმპულსების შეცნობის პროცესი გახლავთ და მ. დოიჯაშვილიც ძალზე ადრე დაეუფლა შინაგან გარდასახვათა გაცნობიერებულად მართვის ხელოვნებას.

თავისი არტისტული ინდივიდუალობის ბუნებითი ძალის შემეცნების ამ გზაზე მისთვის, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელოვნო სარბიელზე მისი დამმოძღვრებლების, პირველი პედაგოგის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის მ. ჭავჭანიძისა და შემდგომ უმაღლეს პიანიზმში მისი შესანიშნავი მწვრთნელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ცნობილი ქართველი პიანისტის თენგიზ ამირეჯიბის შემოქმედებით თანადგომას, რამეთუ მოწაფისა და მასწავლებლის ეს ღრმა ნაფიქრის არსს რომ შეგვაცნობინებს.

მ. დოიჯაშვილის, როგორც შემსრულებლის სწორედ ეს თვალსაწიერი გახლდათ იმის უცილობელი წანამძღვარი, რომ დიდ სახელოვნო ასპარეზზე მისი გასვლა ქართული საშემსრულებლო სკოლის სახელის კიდევ ერთ გაბრწყინებად გადაქცეულიყო.

ასეთ დიდ სარბიელზე მ. დოიჯაშვილის ხმა პირველად 1970 წელს გაისმა. მაშინ, ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტმა, ჯ. ენესკუს სახელობის საერთაშორისო კონკურსის (ბუქარესტი) ლაურეატის წოდება მოიპოვა და, ფრანგულ, გერმანულ, ჩინურ და სხვა ენებზე. აი, ზოგი მათგანი: „დამუხრუჭების დროს გარეგანი ხახუნის კვლევა და გამოთვლა“, „ხახუნისა და ცვეთის თეორია“ და სხვა.

პროფესორი ა. ჭიჭინაძე დიდ დროს ანდომებს სამეცნიერო კადრების აღზრდას, ლექციებს უკითხავს სტუდენტებს, ინჟინრებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მსმენელებს, ხელმძღვანელობს ასპირანტებს. მომზადებული ჰყავს 25 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის ხუთი ქართველი. ხშირად კითხულობს მოხსენებებს საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ამ დიდი ღვაწლისათვის დაბადების 60 წლის თავზე პროფესორ ა. ჭიჭინაძეს რუსეთის სფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

მაგრამ სამოცი წლისა რა ეტყობა ამ ახოვანსა და საოცრად ახალგაზრდული იერის კაცს! თუმცა არც ეს არის გასაკვირი — ავთანდილ ჭიჭინაძე ხომ იმთავითვე შესანიშნავად უთავსებდა სპორტს მეცნიერებას. იგი ცნობილი ნიჩბოსანია: როგორც საზოგადოება „სპარტაკის“ წევრი, ორჯერ იყო (1951-53 წ. წ.) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შემდეგ დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად, მოამზადა 12 სპორტის ოსტატი, მათ შორის 4 ევროპის ჩემპიონი. 70-იან წლებში მოსკოვის ვეტერანთა გუნდის უფროსი იყო აკადემიურ ნიჩბოსნობაში და 1972 წელს მოსკოვში გამართულ ევროპის ვეტერანთა პირველობაზე მეორე ადგილი მოიპოვა.

ის მშვენიერი მეოჯახე და კარგი მამაა. მისი მეუღლე — მარიამ სიმონინა, ცნობილი ფრენბურთელი, 1950-58 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ათჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი და ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი, ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში. ავთანდილ ჭიჭინაძის ქალ-ვაჟი, თუმცა სპორტში არ გაჰყვნენ მამის კვალს, მაგრამ მეცნიერებაში, როგორც ჩანს, მისი გზის გამგრძელებლები იქნებიან. უფროსი ვაჟი, ალექსანდრე უკვე ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ასპირანტია, უმცროსი კი ტატიანა წელს ამთავრებს საშუალო სკოლას და ბაბუისა და მამის გზა აურჩევია.

ასეთია ერთ-ერთი მოსკოვური ქართული ოჯახი, სახელსა და პატივს რომ მატებს ჩვენს რესპუბლიკას.



გიორგი დოლიძე.

სუფთა ჰაერით რომ ვისუნთქოთ

ბუნება—სიცოცხლის კარი

თბილისის უბნებში უამრავ ტრანსპორტს შორის უთუოდ მენშშავდით ოაზ-452 ტიპის მოლურჯო მანქანას წარწერით — „ატმოსფერო-2“ — ეს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს გარემოს გაჭუჭყიანების შესწავლისა და კონტროლის ცენტრის ლაბორატორიის მუშაკები იკვლევენ ჰაერის მიკროკლიმატსა და ტემპერატურას.

მანქანა, ძირითადად, იმ რაიონს „აკვირდება“, სადაც ცენტრს არ აქვს სპეციალური საგუშაგო. ჰაერის შემადგენლობაზე დაკვირვების საგუშაგოები კი რესპუბლიკაში ოცდაცამეტამდეა, აქედან შვიდი — თბილისში.

საგუშაგოებიდან მიღებული მასალები ცენტრის ლაბორატორიაში მუშავდება, აქვე განსაზღვრავენ ჰაერის შედგენლობას — სად, რამდენი და როგორი მინარევებია და მონაცემებს ყოველდღიურად განახლავენ სამმართველოს ოპერატიულ თათბირებზე და შედეგებს ცენტრალურ ორგანოებს აცნობებენ.

როგორც საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **თამაზ თურმანიძემ** გვითხრა, ბოლო ხუთ წელიწადში, კონკრეტულად თბილისში, ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებაში გარკვეული გაუმჯობესება იგრძნობა, მაგრამ საერთო-საკავშირო დონეს მაინც ვერ ეუახლოვდებთ. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

თუ წინთა ცალკეულ საწარმოთა დაგეგმარებისას ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ მეტეოროლოგიურ პირობებს, ამჟამად პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე, მსგავსი მშენებლობისას უთუოდ ითვალისწინებენ მავნე ჰაერებისა თუ ნივთიერებების გამწმენდ მოწყობილობებს, და, რაც მთავარია, მეტეოროლოგიურ პირობებს.

ჰაერის გაჭუჭყიანების ერთ-ერთი წყაროა ხომ სამრეწველო მტვერი და გამონაბოლქვია, რომელიც მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, საერთოდ ცოცხალ ორგანიზმზე.

და თუ საწარმოები ისეა განლაგებული, რომ ეს მავნე აირები ქარს მოსახლეობის მიმართულებით მიაქვს, გასაგებია, რამდენი ზიანი მოაქვს მათ ადამიანებისათვის.

ამატომაც სამმართველოს მუშაკები ენტრიოლს უწევენ ამა თუ იმ საწარმოში მავნე აირების გამწმენდ მოწყობილობებს, ფილტრებს, შექმნილია ატმოსფეროს დაცვის სახელმწიფო ინსპექცია, თითოეულ საწარმოში ინსპექტორები ამოწმებენ რა კეთდება ჰაერის გაჭუჭყიანების საწინააღმდეგოდ, ამ მიმართულებით ხელმოსაკიდებელ ბევრ ღონისძიებას ატარებენ.

ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ბევრ ადამიანზეა, ბევრ ინჟინერზეა, ბევრ ტექნიკოსზეა, ბევრ ინსტიტუტზეა, ბევრ ინსტიტუტის ბევრ ლაბორატორიაზეა, ბევრ ინსტიტუტის ბევრ ლაბორატორიის ბევრ ინჟინერზეა, ბევრ ტექნიკოსზეა, ბევრ ინსტიტუტზეა, ბევრ ინსტიტუტის ბევრ ლაბორატორიაზეა, ბევრ ინსტიტუტ